

საქსუ

გამოცემის 44-ე წელი


ფასი 20 კპვ.

ქართული
ბიბლიოთეკა




— რატომ ანგრევთ კაბინეტის კედელს?
 — ახალი დაჯგაფებით და დირექტორმა
 გვიბრძანა, მაჩვენებთ.

ნ.ა. მ. აბაშიძისა



ჩემგანსი აკტო




— აკა, მგელიც გვესტუმრა. ის კი არ იცის, რომ ტყავს გავაძროგ მავ უგელურს!



— რაღაი არ იშლი, ბიძიო, აგერ დამარტყი მარჯვნივ, კანდიციტი მაქვს!

კვლევა
და
მეცნიერება



„სალამი, ბიცოლა! მე და ჩემს კლასელებს პატარა შეკითხვა დღემდე არ გვასვენებს: ბიცოლა, ლექსებში **კვლევა** და **მეცნიერება** რომ სდით კვალდაკვალ მხეცებს და ნადირებს?

...გადარბის კურდღელი წიგნიდან წიგნში და საბრალო ყოველთვის კანკალებს შიშითა.

მაგრამ რას ვუშველით, ბიცოლა, ყურცკვიტას, ამოდ შეგვჩივის წიგნების ფურცლიდან.

თქვენს წიგნში, მეცხრე თუ მეათე წელია, კატები კნავიან და მშველელს ელიან

დაძრწიან ძაღლები ტყეში თუ წყაროზე და მათი დანახვა მნახველებს აოცებს.

თქვენს წიგნში თიკნებიც ვერასგზით გადარჩენ: ძუ მგლებმა შეჭამეს ისინი მრავალჯერ.

მრავალჯერ მოწყვიტეთ ხბორები ბალახს და საკუთარ წიგნებში შერეკეთ ანაზღად...

თქვენ სხვებიც გბაძვენ: ასამდე პოეტი კურდღლებს და კატუნებს აწვალებს ყოველთვის

სწვდებიან ყურებზე, კულებზე, თათებზე, დასდევენ და ერთი მეორეს აქეზებს.

სხვებს მხეცი არ ჰყოფნით, დასდევენ ისინი ფრინველებს და ბურტული ქარს მიაქვს სისინიდ...

და ყოველ სტრიქონში გაისმის ტიკტიკი: „ბუ-ბუ-ბუ“, „კუ-კუ-კუ“, „კა-კა-კა“, „კი-კი-კი“...

მოცოცავს ფურცლებზე ათასი ანკარა გველი და ზღარბების ლაშქარი დამდგარა.

ნეტავი ასეთი რა უჭირთ პოეტებს, ამდენ ხანს ტყეში რომ დადიან ყოველდღე?

ჩვენ მალე საკმაოდ დიდები ვიქნებით, დრო არის, ვიკითხოთ სხვაგვარი წიგნები!

სხვა რამეც არ გვიყვარს მხეცებზე ნაკლებად და გვინდა სხვაგვარი ამბების გაგებაც.


ბიცოლა, გაგვიგეთ, მოგვწერეთ აშკარად: თუ არის რაიმე იმედი ამუშად,

ჩვენზეც რომ დაწეროს ლექსები მგოსანმა? მოგვწერეთ საჩქაროდ! 7 წლის **ოქსანა**“

მე ვეთანხმები ოქსანას პირად ბარათს და პასუხს არ ვაგვიანებ: საბავშვო წიგნში ბუზები ხშირად ავიწროებენ ადამიანებს. არ ჩანს მეზახტე, არ ჩანს მქსოველი, — ფრენენ პებლები ცისფერ ბილიკით! — მგოსნებო, თქვენგან პასუხს მოველით!

სალამით. სტეფან ოლეინიკი.
თარგმნა ვ. ჯაბახაძემ

მეზაგის მეზაგი



„ნიანგის“ 1967 წლის მეხუთე ნომერში წაიკითხე პატ. რობერტ სტურუას საგულისხმო წერილი — „აი, მიზეზი“; რომელიც ინფარქტის გამომწვევს მიზეზებს შეეხებოდა. წერილი მართლაც საინტერესო იყო, მაგრამ, უნდა გამოვტყუდო, რომ პატ. ავტორის დასკვნები რამდენადმე საეჭვოდ მეჩვენება.

ინფარქტის ის გამომწვევი მიზეზები, პატ. ავტორმა რომ დაასახელა, ძირითადად, ბიურთავრატული მისტიკის სფეროს განეკუთვნებიან. ვეთანხმები ავტორს იმაში, რომ სწორედ ასეთი მიზეზები იწვევენ ადამიანის ფსიქიკის სამეზარო გაღიზიანებებს, მაგრამ პატ. ავტორმა ყურადღება არ მიაქცია მედლის მეორე მხარეს, სადაც იგივე მიზეზები ინფარქტის საწინააღმდეგო რეაქციებს ქმნიან. ასე რომ არ იყოს, ადამიანები კარგა ხანია დასოცილები ვიქნებოდით. ერთი სიტყვით, პრობლემა დიალექტიკურია თავისი ბუნებით და ამის ასახვაც დიალექტიკის მეოთხედი უნდა მივუძღვეთ.

დიდხანს ვფიქრობდი ამ საკითხზე. განმარტებულმა და ჩაფიქრებულმა წარმოვიდგინე ჩემი პრაქტიკული ცხოვრების მთელი რიგი სურათები. ზოგიერთ მათგანს აქვე მოვიყვან:

სურათი ა. ჩვენი სახლში (ჩვენი სახლი ტიპური პროექტივითაა აშენებული და, რასაკვირველია, ტიპური ხასიათის ნაკლოვანებანი გააჩნია) თბილი წყალი ხან მოდის, ხან — არა. როცა მოდის, მოდის ხან ორი საათით, ხან — ერთი საათით ხან — ნახევარი საათით... რა თქმა უნდა, ამის შემყურეს, არ შეიძლება ბოლბა არ მოვაწვევს და ინფარქტი არ დაგემუქროს. მაგრამ ხომ ვთქვით, მედლს ორი მხარე აქვს... რაკი ვიცით, რომ თბილი წყალი სადაც არის შეწყდება, გლევის სისწრაფით ვმოქმედებთ: ტანსაცმელს კი არ ვიხდით, ვიგლეჯთ ტანადან. სწრაფად! სწრაფად!.. ერთი, ორი... მივასწრეთ, დავასწრეთ, თორემ ყინულში მოგვიწვეს ჩაწოლა... მეც ჯარსავით ვტრიალებ. მართალია, ბოლბით მისკდება გული, მაგრამ ვარჯიშობით ხომ ვვარჯიშობ? ვარჯიში კი, როგორც მოგეხსენებათ, აკეთებს ადამიანის ორგანიზმს და საოცრად ამტანავს ხდის მას.

სურათი ბ. გადაწყვეტიტ ტელეფონი დამედეა. სად არ ვიყავი, ვის არ მივაკითხე... თუ ბუღალტერია, პატ. რ. სტურუას თქმისა არ იყოს, ბურუსითაა მოსილი, ატეხსში ყველაფერი ნათელია, იმავე დროს, ყველაფერი ბუნდოვანია. ყველაფერი ნათელია, თუ შეიარაღებული ხარ, თუ არა და, მაშინ იმდენს დაინახავ, რამდენსაც შეუიარაღებელი თვალით დაინახავდი მარსზე ან. ვენერაზე... მე კი უიარაღოდ შევდი ფეხი ტელეფონების ქსელია მისტიკურ სამყაროში და, რა თქმა უნდა, პირველივე გამოცხადებაზე ჩამცეს მახვილი... სად არ ვიყავი, ვის არ შევჩვიე... თითქოს ის იყო მივწვდი ნათელს, მაგრამ... თითქოს. ბოლბა მკლავდა, მაგრამ რას მომკლავდა... ხომ ვთქვით, მედლს ორი მხარე აქვს... აქეთ-იქით სიბრძოლა ისე გააკაჟა ჩემი საცოდავი სხეული, ბოლბა კი არა, ტყვია რომ დაეხალათ გულში, ვერაფერი დამაკლავდა. ასლა ის იკითხეთ, კიდევ რამდენი უნდა ვირბინო...

სურათი გ... თუმცა კამარა! რამდენი ერთი მოვყვე? პატ. რ. სტურუა ჩრვის — მტრისას, დღეს რომ ქალაქის სატელეფონო ქსელი მუშაობს... მართალია ბრძანება! გული უჭველად გაგისკდება, თუ შინ ჩაიკეტე და მდგომარეობის გამოსწორებას დაელოდე. სედავ, ვერ რეკავ; ადგილი და ფეხით წადი!.. წახვალ, გაივალ-გამოვილი, ბოლბასაც მოინელებ და ინფარქტსაც აიცილებ...

არ იფიქროთ, რაღაც ბრიყვეული თავდაჯერებულობა მალაპარაკებდეს. არა. სწორედ სეციკალისტები წერენ, — ვარჯიში, სხეულის მოძრაობა ფრიად ეფექტური საშუალებაა გულის სისხლძარღვების დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად...

დასასრულს, მინდა შეგინებო, რომ პატ. რ. სტურუამ თავის ლიტერატურულ მაგალითებს შორის რატომღაც არ დაასახელა ხიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „ოხვრა არის შვევა უბედურისა“... ჭეშმარიტად!

რ. მარტვილი

საბაში მოწიწებით, გულისფანცქალით ჯდებოდნენ. როგორღაც უხერხულად ისხდნენ ერთ ხანს. სკამს წყინდა, ასე უშნოდ რომ ისხდნენ და ამხნევებდა. თანდათან ირწმუნდებოდნენ, რომ სკამი ურყევად იდგა და შეიძლებოდა მასზე მთლიანად დაყრდნობა. რწმუნდებოდნენ და სკამზე კი აღარ ჯდებოდნენ — იშვებოდნენ. სკამს ახლა ეს წყინდა, მაგრამ რა ექნა, ის ხომ ურყევად იდგა? გულმოკლული სკამი გრძობდა, რომ თანდათან მიიმდებოდნენ ისინი, რომლებიც მასზე ისხდნენ. ჯდებოდნენ მოწყვეტით, ისხდნენ ფეხებგაჩახულნი და დგებოდნენ მძიმედ. მალე ისე მიიმდებოდნენ, რომ სკამის ზედაპირი ვეღარ იტევდა აფუშულ სავდომებს. სკამს საშინლად წყინდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ რა ექნა? ურყევად იდგა. ისინი კი იმდენად ფაშფაშდებოდნენ, რომ ამკარანდ ვეღარ ეტეოდნენ სკამზე. ვეღარ ეტეოდნენ და ერთ ჩვეულებრივ დღეს სკამი შეეშინდა ისუნთქავდა... ისინი თავს ვეღარ იცავდნენ ადენი ქონისგან, ცურდებოდნენ სკამიდან და... ბრახ!.. იატაკზე ენარცხებოდნენ. სწორედ მაშინ ისუნთქავდა სკამი შვეებით.



გრძობდა, რომ ის არ მიიმდებოდა. სკამს ეს ძალიან უკვირდა, მაგრამ ვერაფრით გაეგო. ის კი ჯდებოდა ზუსტად ისე, როგორც ყველა, მაგრამ არა და არ მიიმდებოდა სკამი. და თუმცა სკამი ურყევად იდგა და არხად ეჩქარებოდა. მაინც ახარჩობდა ცნობისმოყვარეობა არაბთომ არ მიიმდებდა ის? ახარჩობდა. ცნობისმოყვარეობა სკამს, მაგრამ რა ელონა, ვისთვის ექოთხა? ის ხომ ურყევად იდგა.

და, ჰოი, საკვირველებზე! ერთ დღეს კინაღამ შეირყა ურყევი სკამი! ის, სწორედ ის, რომელიც ოდნავაც არ დამიმდებულა მას შემდეგ, რაც პირველად დაჯდა სკამზე, დიხს, სწორედ ის გადმოვარდა და იატაკზე დაენარცხა. დაენარცხა იატაკზე ზუსტად ისევე, როგორც ენარცხებოდნენ მანამდე სხვები.

და ურყევი სკამი კინაღამ შეირყა. მან ვერა გაეგო, რატომ დაენარცხა იატაკზე ისიც დანარჩენებივით. მას ვერაფრით გაეგო, როგორ შეიძლებოდა, რომ ის მკლუ არსებამ იქონიანი არსებებივით სკამზე ვეღარ დატეულიყო! მერე ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყო და ძველებურად გაგრძელდა...

სკამი ახლაც ურყევად დგას და ფეჭობს. ფეჭობს გაუთავებლად. ვერ მიხვდარა, რომ იმ მკლეს, რომელიც ყველა ქონიანებით სკამიდან გადმოვარდა, აი, იმ უბედურ მკლეს ნახევარი კუბი ამოკვეთილი ჰქონდა. ჰოდა, ის უბედურად დიეტას იცავდა, ეგ იყო და ეგ.

ზურაბ რატიანი

მერე ყველაფერი იწყებოდა თავიდან და ასე გრძობდებოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს... ერთხელ კი, მხოლოდ ერთხელ, მოხდა არაჩვეულებრივი რამ. არა, დაწყებთ ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყეთ: ისიც როგორღაც უხერხულად დაჯდა სკამზე და მერე თანდათან ფეხებგაჩახული ჯდებოდა, მაგრამ სკამი ამკარანდ

წლოვანება

— რამდენი წლისა ხარ, მეგობარო?! — ჰკითხეს ერთ გლეხს.

— სამოცდაორის თუ სამოცდახუთის, — ნამდვილად არ ვიცი.

— როგორ? თქვენი წლოვანება არ იცით?! — რა საჭიროა! მე მხოლოდ ჩემს ქათმებს, ცხვრებსა და მოსავალს ვიმახსოვრებ, — იმას, რისი მოპარვაც შეუძლიათ.

მალაზიანი

— ქალბატონო, რა ღირს ვაშლი?! — ექვსი ცალი — ხუთი სუ, ჩემო პატარავ! პიერმა თითებზე ჩამოთვალა: ექვსი — ხუთი სუ; ხუთი — ოთხი სუ; ოთხი — სამი სუ; სამი — ორი სუ; ორი — ერთი სუ და ერთიც — უფასოდ... — ქალბატონო, თუ შეიძლება, მე მხოლოდ ერთს ვიყიდო.

თარგმანა ნათელა ზაპარაშვილმა.

ავტობუსი წყნეთიდან მოქცია... დღის თორმეტი საათია... ავტობუსში ხალვათობა... — ბატონო გიორგი, გამარჯობათ. ეს მე ვარ გეთაყვათ! — თო! ცქვიტოს გაუმარჯოს! როგორ ბრძანდებით? — გმადლობ, არა მიშავს, ვმუშაობ, ვმუშაობ, ბატონო გიორგი! — მდა! ის უნდა მეტყვა, რომა, მალე დაიყავთ, არაა? გეთაყვათ! — დიხს, მალე. — მდა, ყმაწვილო, გეთაყვათ, რამეთუ გამეხარდა რომა, მუცაითობით!.. (პაუზა) ბატონი ბიორბი: მდა!.. სპმპიტ: როგორც რუსნი უნებობენ, დიხს! (პაუზა) სპმპიტ: ბატონო გიორგი! წყნეთიდან ყოველდღე ჩამოსდინხართ თბილისში? ბატონი ბიორბი: კი, გეთაყვათ, ყოველდღე ჩამოსდინიარ და ყოველ მეორე დღეს ავსდივარ! სპმპიტ: ყოველ დღე ასვლა, ალბათ, ძნელია, არა? ბატონი ბიორბი: რა თქმა უნდა, მისთვის რომა... ჯერ ჩამოსვლა სთქვით და მერე ასვლა, ემ!.. სპმპიტ: ასეც ჯობია, ყოველდღე ჩამოსვლა, დახედავთ სახლს და ყოველ მეორე დღეს ახვალთ. ბატონი ბიორბი: რა თქმა უნდა... გეთაყვათ! (პაუზა) სპმპიტ: ბატონო გიორგი, ნეტა რამდენია წყნეთი ზღვის დონიდან? ბატონი ბიორბი: თბილისის ზღვის დონიდან გეთაყვა, თუ... სპმპიტ: არა, ბატონო გიორგი, რატომ? თუნდაც რომელიმე ზღვის, ან ტბის დონიდან. ბატონი ბიორბი: გეთაყვათ, ის ვიცი, რომა კუს ტბიდან ახლოსაა, სხვა რა მოგახსენოთ. სპმპიტ: ნეტა, დონი რამდენი იქნება დონიდან? ბატონი ბიორბი: მდა... სპმპიტ: ნეტა რომელი საათია? მმ: ხუთი წუთი გადასულია... სპმპიტ: გმადლობთ!.. მმ: არაფერის! ... ესეც სოფელი მაგები, ესეც ვაკის სასაფლაო! აფსუს, რა ხალხია მიწაში?! ჯაპუნია

საწყაო სკა

„ბინა რომ მქონდეს, ცოლს შევიერთავდი“ — ამბობდა სიკო. (ეს წინათ იყო). დიდი ხანია ბინა მიიღო ვაკეში სიკომ... მაინც უცოლოდ დაბრაცუნობს საწყალი სიკო. იმ კარგი ბინის და კარგი სიკოს ღირსი ვინ იყო?! ლ. მარტაშვილი

უბედური კაცი ამბავი

უბედური კაცი იყო. უბედურზე უბედური და კიდევ უფრო უბედური. ახლობლები მოვიდნენ და ჰკითხეს: „როგორ ხარო?“

„რად რაგორა ვარო“, — უპასუხა უბედურმა კაცმა, — „ერთი მამალი მყავს, დროს გავიღვიძებ, მგონია, ჩემით გავიღვიძებ, თურმე იმ მამალს არ გავუღვიძებია? ავდგები და დავკლავ, სადილს მოვამზადებ, შეეჭამ. დავიძინებ. დილას გავიღვიძებ, მგონია, ჩემით გავიღვიძებ, თურმე იმ მამალს არ გავუღვიძებია? ავდგები და დავკლავ. სადილს მოვამზადებ. შეეჭამ... მომბეზრდა სულ მუდამ მამლის ხორცი. დედალი მაინც იყო!“

„მართლა უბედური კაცი ყოფილხარო“, — ამშვიდებდნენ ახლობლები.

ახლა ნაცნობები მოვიდნენ და ჰკითხეს: „როგორ ხარო?“

„როგორღა ვიქნებით“, — ამოიხრა უბედურმა კაცმა, — „ერთი თხა მყავს. ძალზე შემაწუხა. ყოველდღე ვყიდი და ყოველდღე მიბრუნდება. ხომ ხედავთ, ახლაც მოდის და მოვკვდი კაცი მისი გადასკვდი!“

„მართლა უბედური კაცი ყოფილხარო“, — თქვეს ნაცნობებმა და წავიდნენ.

მოვიდნენ სხვები, სულ უცნობები. მათ გაეგონათ უბედური კაცის უბედურება და იმიტომ მოვიდნენ.

„როგორ ხარო?“ — ჰკითხეს.

„ეჰ!“ — ჩაიქნია ხელი უბედურმა კაცმა, — „ერთი ცოლი მყავს. ძალზე ვუყვარვარ. ძალზე მიყვარს. მაგრამ კაცნი ვართ და მხოლოდ სიყვარულზე ოჯახი ვის აუშენებია? წავიყვან, წყალში გადავადებ. დილას გავიღვიძებ და რას ვხედავ — გვერდით მიწვეს და მელაერსება. მეც ველაერსები. კიდევ უფრო ვუყვარვარ და კიდევ უფრო მიყვარს... ყოველდღე ამ გასაჭირში ვარ და შემდეგ, ვისაც არ ეზარება, მოდის და მეკითხება, როგორ ხარო, გულს მიხეთქავენ, დარდს მახსენებენ!“

ერლომ ახვლედიანი



— გადი, გოგო, მერე მოახვი, გვაცალე ერთ წუთს!

ნიან კის უნივერსიტეტი

საქმიანობა

ფაკულტეტი

საფრანგეთის ქალაქ პრემოდინში ვერაფრით ვერ მოსპეს თავი და ქალაქის მერმა ორიგინალურ სერხს მიმართა: თითოეულ მოკლულ თავზე მუნიციპალიტეტის კინოთეატრში უფასოდ იქლიოდნენ ბილეთს, ოღონდ მოკლული თავის კული უნდა ეჩვენებინათ. მალე მუნიციპალიტეტი თავის კულით გაივსო, ხოლო ცოცხალი თავების რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა. მიზეზიც მალე გამოიკვდა. ბავშვებს მოწონებიათ უფასო ბილეთები და თავების ხელოვნურად მოშენება დაუწყიათ.

მინორმისორ ჯონ ხასტონის მიერ გადაღებული ფილმი — „ვატერლო“ 12 მილიონი დოლარი დაჯდა. იტალიელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ვატერლოს ბრძოლა, სადაც ნაპოლეონი საბოლოოდ დამარცხდა, ყველა მეომარ ქვეყანას ერთად 9 მილიონი დოლარი დაუჯდა.

სტოპკოლში ახალდაქორწინებული ცოლ-ქმრის წინაშე ბინის შოვნის დილემა დადგა. ახალგაზრდა ქმარი არ დაიბნა და მეტად უცნაურ სერხს მიმართა: იქირავა პატარა თვითმფრინავი, კულზე გამოიბა ქსოვილის ვეპურთელა ნაჭერი და დააწერა: „სასწრაფოდ მჭირდება ბინა. ტელეფონი 38-42-05. ალფრედ ფრიდმანი“. შედეგად არანაკლებ გასაოცარი აღმოჩნდა. დღის განმავლობაში ფრიდმანს ათობით კაცმა დაურუკა და ბინა შესთავაზა.

ფილადელფიამმა ოკულისტმა მხედველობის გასინჯვის ახალი მეთოდი შემოიღო. იგი ტრადიციული ასთების მაგიერ კაცებისთვის იყენებს ქალი კინოფარსკვლავების სხვადასხვა ზომის სურათებს, ხოლო ქალებისთვის — მოდების ჟურნალს. შედეგად შესანიშნავია: მხედველობა, როგორც ჩანს, ბევრნაირად დამოკიდებული ყოფილა ინტერესზე.

ამერიკის შერეულ შტატებში არსებობს ძალღების დამკრძალავი ბიურო. დაკრძალვის სამუშაო ფასია 500 დოლარი, ხოლო განსაკუთრებული დაკრძალვა ბრწყინვალე კუბოთი და ძველით 3.000 დოლარამდე ჯდება.

შოტლანდიაში, გისკების ერთ-ერთ ფაბრიკაში, 70 ბატი ჰყავთ, რომლებიც ერთგულად დარაჯობენ ფაბრიკას და როგორც კი ვინმე გამოჩნდება მის ტერიტორიაზე, ჯოჯოხეთურ ხმაურს ტყენენ. ფაბრიკის პატრონები ამტკიცებენ, რომ ბატები გაცილებით უფრო ღირსეულად ასრულებენ თავიანთ საქმეს, ვიდრე ჩვეულებრივი დარაჯები.

ომს ვიეტნამში ამერიკელი მონაპოლისტებისთვის აურაცხელი მოგება მოაქვს.
გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .



ნახ. ზ. ლომიანისა
განდინერი „დაკომბვა“

საიდუმლო შრიფტი

მხიარულ დარბაზში ტევა არ იყო. მაგრამ აქ არ ყოფილა კონცერტი. ტარდებოდა არტელ „მთავარია ხარისხის“ ადგილკომის საანგარიშო კრება. კრება რატომღაც წესიერად იყო მოწვეული — სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ. კუჭისწვენიმომძლავრებულ ხალხს თავისუფლება სწყუროდა, მაგრამ მომხსენებლის სიტყვას ბოლო არ უჩანდა — მას თვითკრიტიკული ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდა ნათქვამი.

ისე, როგორც ყველა დარბაზში, აქაც იჯდა კაცი — ფრიად ყურდაცქეტილი და ინტრიგანი. სახელად მანუჩარი ერქვა. იგი ადგილზე ცმუკავდა და ფხიზლად იმასსოვრებდა მეტისმეტად მხიარულთა რეპლიკებსა და სახეებს.

აი, მას წინგადასაცემად ოთხად მოცეცილი ქაღალდი გადმოაწოდეს. მანუჩარს ცნობისმოყვარეობის ტალღა მოაწვა, სუნთქვა შეუკრა და ქაღალდი ქურდულად გაასხვეინა. მაგრამ მხოლოდ ეს შერჩა ხელში:

„1. კაცს ბატი თავზე აზის. 2. კალენდრის ქვეშ მზის უმზირით სავსე ტომარა დგას. 3. საათის გვერდზე მიყუდებულია თოფი. 4. კაცი ხარბად უყურებს მგელს, რომელსაც პირში ბილეთი აქვს გაჩრილი. 5. ვიტრინაში დევს ავტოკალამი. 6. რენტგენზე, გულის მაგივრად, მოჩანს ბურთი“.

რა არის ეს? ისე ხუმრობა? მანუჩარის შეურაცხყოფილი ტვინი გამომთვლელ მანქანასავით ამუშავდა და უცებ:

— ამხანაგებო! — გაისმა მისი მჭექარე ხმა.

მომხსენებელს სიტყვა გაუწყდა. დარბაზი გაისუსა. მანუჩარი პრეზიდენტში აიჭრა.

— ამხანაგებო! წავაწყდი საიდუმლო შრიფტს!... დარბაზში ღალატის სუნი ტრიალებს!... მომხსენებელს შეთქმულებას უწყობენ!..

დარბაზი კვლავ ახმაურდა. მომხსენებელს მკვდრის ფერი დაედო. აღღვებული მანუჩარი ჰაერში აფრიალებდა ქაღალდს:

— ამას ბავშვიც კი მიხვდება!.. აი, ნახეთ, რა წერია:

„1. ეს ბატი თავზე გვაზის. 2. უსაქმურად ატარებს სამუშაოდებს. 3. დროა, თავს დავესხათ. 4. მგლის ბილეთით გავისტუმროთ. 5. ჩავუწეროთ, 6. რა უბულოც ბრძანდება“.

ხალხი მეტად ახოჩქოლდა. მანუჩარმა გამარჯვებულის იერით გადახედა დარბაზს და საიდუმლო ქაღალდი კრების თავმჯდომარეს გადასცა. ახლა თავმჯდომარემ ამოდრავა ტვინი, ერთ ხანს სერიოზულად უცქირა ნახატს, მერე უცებ სიცილი აუტყდა:

— ამხანაგებო, მანუჩარს, როგორც ყოველთვის, ახლაც რაღაცა მოერგენა. ვიღაცა ხუმრობით მწერს:

„1. ბატონო თავმჯდომარე! 2. დღეს ფეხბურთია. 3. რეგლამენტი დაიცავი. 4. ხალხი გამგელვებულია ბილეთებზე. 5. მერე ვეღარ ვიშოვიო. 6. ფეხბურთის გულშემატკივარი“.

დარბაზი ახარხარდა. მომხსენებელს ფერი მოუვიდა. სამაგიეროდ მანუჩარს წაუვიდა.

— ისე, მაინც, ვინაა ეს ფეხბურთის გულშემატკივარი? — იკითხა დიმილით თავმჯდომარემ.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ...


მალე დარბაზი ცარიელი იყო — კრება მეორე დღისთვის გადაიტანეს. მხოლოდ მანუჩარი მიყუჟულიყო კუთხეში. იგი გულშემატკივარი არ ყოფილა, მაგრამ გული მაინც საშინლად ტკიოდა.

ჰარი ჰარალი.



ნახ. ბ. ლომიძისა

— თქვენ როდის გაიყვანთ ტელეფონის კაბელებს?
— რა დროს კაბელებია, ჯერ სამარეებს ვუთხრით ერთმანეთს!



ნახ. ნ. მაღალაშვილისა

— რა მიქნა, კაცო, ჩვენი დირექტორის ცოლმა? შემხვეწი შენს ქმარს ჩემი დაწინაურების შესახებ-მეთქი და ცხელი წყალი გადაამსხა.

— ცხელი რა ქართულია? უნდა თქვა, ცივი წყალი გადაამსხა-თქო!

— კაცო, ახლა, ცხელი იყო თუ ცივი, შენ მასწავლი?!

ქ ა ჩ ე ბ ე უ ლ ი ნ ა ე ვ ე ს ე ბ ა

- ცხვარივით ფერის გამგე იყო: ყველაფერზე „მეე“-ს იძახდა.
- აგრონომი ისეთი მკაცრი ათვისტი იყო, რომ ჯვარედინად თესვა მთლიანად უარპყო.
- დალაქი ისე დახელოვნდა კანის გაჭრაში, რომ ქირურგის თანამდებობაზე დააწინაურეს.

წოთა ბიკაშვილი


მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბაძე**. საკლავციო კოლეგია: **ზ. გოლჭვაძე** (პ/მბ. მდივანი), **ს. კლდიაშვილი**, **ნ. მაღალაშვილი**, **ბ. ნიშნიანიძე** (მთავ. რედ. მორაგბილი), **ნ. შველიძე**, **ო. ჭელიძე**. საბირისა და იუმორის უზრუნველყოფისათვის: **ნინო**.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянги“. სპ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 13/V 1967 წ. ძალ. ჯოგა 70x108/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმატა რაოდ. 1. სპ. პ. ც-ის ბამომცემლობის პ/კომიგნატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შპკ. № 1873 უე 02051 ბირაჟი 64.000.



რანსაც ღათუნსაც...

კონტროლერის
ეკვადრული



3.67

მანს მონაცხალი